№ 93. 3 მაისი, შაბათი 1866—1880 3 მაისი, შაბათი № 93

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია.
ერევნის მოედანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარს. არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

	წელიწადში.	6 თვეს.	3 თვეს
„დროება“-„ივერია“ ერთად	13 მან.	7 მან.	4 მ.
ცალკე „დროება“	9 მან.	5 მან.	3 მ.
ცალკე „ივერია“	6 მან.	4 მან.	2 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოს-ოდენა ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

სახაფხულო თეატრში

სამშაბათს, 6 მაისს

ქართული ტრუპპისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

მზის დაბნელება

საქართველოში

კომედ. სამს მოქმედ. ზ. ანტონოვისა

II

აყალ-მაყალი ცოლ-ქმარ შუა

ვოდევილი ერთ მოქმედებად.

ბილეთები ისყიდება აზნაურთვის მაღაზიაში და თეატრის კასსაში

დასაწყისი 8 საათზე

(3—1)

საზოგადო ჭირს საზოგადო შველა

ტფილისი, 2 მაისს.

ერთი დიდი უბედურება ჩვენი, სხვათა შორის, ისიც არის, რომ ცხვირს იქით არ ვიყურებით. თითქმის ყოველი ქართველი ასე სჯის:

— მე თუ კარგათ ვიქნები, მე თუ არ მაწუხებს რომელიმე ჭირი, სხვას რას დავსდევ. ნეტავი მე არ დამემართებოდეს უბედურება, თორემ სხვას კისერიც მოუტეხია! ბიჭი ხო არა ვარ, ქვეყნისთვის ჯვარს ვეცვაო!

ადრე, ძველად ამისთანა არ ვიყავით. მართალია, საუბედუროთ, რომ გვართა ბრძოლა, საქართველოს ერთი ნაწილის მეორე ნაწილთან შეტაკება ადრეც იყო ჩვენში. მაგრამ ხშირად, როცა საზოგადო მტერი ანუ სხვა რაიმე უბედურება მოგვადგებოდა კარს, ჩვენ ვივიწყებდით ერთმანეთის განხეთქილებას, ვივიწყებდით კერძო ანგარიშებსა და ინტერესებს და ყველანი ერთად გავდიოდით საზოგადო მტრის წინაღმდეგ საბრძოლველად. ახლანდელზე უკეთ მაშინ გვესმოდა, რომ მეზობლის უბედურება თვით ჩვენივე უბედურებაა, რომ საქართველოს რომელიმე კუთხის უბედურება არის უბედურება მთელი საქართველოისა, რომ გლეხის ზარალი არის ზარალი თავად-აზნაურისა, თავად-აზნაურის დაღუპვა არც გლეხისათვის იქნება საკეთილო და სხვ. და სხვ.

ერთის სიტყვით, ადრე ჩვენს ხალხში უფრო მომეტებული ერთობა და ძმობა იყო, უფრო გონიერული გაგება საზოგადო ინტერესისა, ვინემ ახლა.

დააკვირდით ჩვენს საზოგადო ცხოვრებას: გლეხს ჰგონია, რომ რაც მებატონესთვის სასარგებლოა, ის იმისთვის საზარალოა; თავად-აზნაურობა ცდილობს რაც შეიძლება მომეტებული ტყავი გააძროს გლეხს; მღვდელი [illegible] ვაჭარი კი არც მღვდელს, არც ბატონს, არც გლეხსა. ყველა კერძოთ თავისკენ იწევს, არავის მეზობელი არ ახსოვს, არავინ საზოგადო საჭიროებაზე და გაჭირებაზე არ ჰფიქრობს.

ჩვენს თავად-აზნაურობაში უფრო არის გავრცელებული ამ გვარი ცუდი, ეგოისტური შეხედულობა და გრძნობა. მაგალითების მოსაძებნელად შორს წასვლა არ არის საჭირო: მოიგონეთ თუნდა ქუთაისის და ტფილისის თავად-აზნაურთა კრებების გარდაწყვეტილება, რომ ჩვენი ბანკების ფულებიდამ გლეხის შვილებმა ერთი კაპეიკიც არ უნდა ისარგებლონო, ამ ფულებით გახსნილს „სააზნაურო შკოლაში“ ერთი გლეხის შვილიც არ უნდა იქმნეს მიღებულიო და სხვ.

მაგრამ ეს მავნებელი და ყოვლად-დასაძრახისი ხასიათი ჩვენის თავად-აზნაურობისა ყველაზე უფრო აშკარად მტკიცდება ამ ჟამად, როდესაც თითქმის მთელ ტფილისის გუბერნიას შემოესია კალია და აკლებას ემუქრება. ტფილისის მაზრაში, გორის, თელავის, სიღნაღის, დუშეთის,—ყველგან გამოწვეულია ხალხი ამ კალიის გასაწყვეტად; მთავრობამ ამავე მიზნით ჯარებიც გაგზავნა მინდვრებში.

მხოლოთ ერთი მებატონეები, ჩვენი თავად-აზნაურობა არ ანძრევს ხელს და არავითარ შემწეობას არ აძლევს იმათ, ვინც ამ საქმეს ადგანან. ჩვენ გვწერენ, რომ ზოგიერთ თავადებმა თავის ტყეში საცოცხე წნელების მოჭრის უფლებაც არ მისცეს უფულოთ ხალხსაო.

როგორ გასაკვირვებელი და თან სამწუხარო არ არის ამ გვარი მოქმედება ჩვენი თავად-აზნაურობისა? გასაკვირველია, როგორ არ ესმისთ, რომ კალია მარტო გლეხის ნახნავ-[illegible] არ არის მავნებელი, არამედ საზოგადოთ ყველა მამულებისათვის? როგორ ვერ გაუგიათ, რომ თუნდაც მარტო გლეხს მამული გააფუჭოს, ამით იმასაც თავადსაც და აზნაურსაც დიდი ზარალი და ვნება ეძლევა! რათ ვერ შეიტყვეს, რომ გლეხის დაზარალება და უბედურება იმავე დროს მებატონის, მემამულის დაზარალება და უბედურებაც არის? ან, იქნება, ჩვენს ბრწყინვალე კეთილშობილთ ჰგონიათ, რომ კალია მარტო გლეხის ყანას შეჭამს და იმისას კი ვერ გაბედს?!

ჩვენი თავად-აზნაურობა ამ შემთხვევაში იმით იმართლებს თავს, რომ ჩვენ კეთილშობილნი ვართ, ბეგარა რა ჩვენი საკადრისია, კანონით ჩვენ ვალდებულნი არა ვართო, რომ ამ გვარი ბეგარა ვიკისროთო, და სხვ.

კარგი ლოღიკაა, თქვენმა მზემ! ვსთქვათ, ჩემ მეზობლად სახლი იწვის და საცაა ჩემს სახლსაც მოეკიდება. მაგრამ მე როგორ მეკადრება ხელის განძრევა! მე კეთილ-შობილი ვარ, რა ჩემი საქმეა ვეცადო, რომ ჩემი მეზობლის სახლი გადავარჩინო ცეცხლისაგან და ამით ჩემი საკუთარი სახლიც დავიხსნა? კეთილშობილი ვარ, როგორ მეკადრება წყალი შევასხა ცეცხლს ან სხვა რამშიმე დავეხმარო მეზობლის სახლის გადარჩენას! ბეგარად რომ დამედვას ცეცხლის ქრობა, მერე? მე, კეთილშობილი და ბეგარა—როგორ შეიძლება! არა, დაე ჩემი სახლიც დაიწვას, და მე კი წყლის შესხმას არ ვიკადრებ! ბრწყინვალე თავადი ვარ, რად მეკადრება?!

სწორეთ ამ გვარის ლოღიკით სჯის და მოქმედებს კალიის შესახებ ჩვენი თავად-აზნაურობა; განსხვავება ის არის, რომ ამ შემთხვევაში მარტო გლეხის, მეზობლის სახლს როდი ეკიდება ცეცხლი, თვითონ იმის სახლსაც ეკიდება, მარტო მეზობლის ნამუშევარს კი არ მოელის კალიისაგან განადგურება, თვითონ იმისასაც.

კეთილ-გონიერება, პირ-და-პირი სარგებლობა და ანგარიში მოითხოვს ჩვენი თავად-აზნაურობისაგან, რომ ამ თავითვე დაეხმარონ, რითაც კი შეუძლიანთ, კალიის გაწყვეტას; თორემ, როცა ის მთელს გუბერნიაში გავრცელდება, როცა იმათ ნამუშევარსაც ისე მადიანად შესჭამს, როგორც გლეხისას, მაშინ გვიანღა იქნება, მაშინ ველარას დაეხმარებიან, ბევრიც რომ ინანონ...

ფელეტონი

—

თეატრის მატიანე.

კრიჟანგი, კომედია მოლიერისა.
ხუთი მოქმედება.

—

„მოთმინებითა თქვენითა მოიპოვეთ სული თქვენი“. ვითმენთ კიდეც და დარწმუნებულიცა ვართ, რომ ერთხელაც არის სული მაინცა და მაინც მოპოვებული იქმნება. მართლა და რაც ჩვენი თეატრი გვათმენინებს ამაზე მეტი მოთმენა აღარ გაგონილა. ბარაქალა ქართველობის სულგრძელობას! ბარაქალა მის შეურყეველს, მტკიცე რწმენას! მომავალი სულის მოპოვება რომ არ ულევიოდეს გულში; გულ-დაჯერებული რომ არ იყოს, რომ ერთხელაც არის ეღირსება ნამდვილი თეატრი, ჩვენი საზოგადოება დიდი ხანია ზურგს შეუქცევდა აწინდელს ესრედ-წოდებულს „თეატრს“. მართალია, საზოგადოება არც ეხლა მიიბძვის (საზოგადოდ) თავის მტვრევით, მაგრამ ასე თუ ისე, ცოტად თუ ბევრად, დაიარება მაინც. სხვა ქვეყანაში რომ მომხდარიყო იმისთანა წარმოდგენა, როგორიც ამ უკანასკნელს ორშაბათს გაიმართა ჩვენს თეატრში, დარწმუნებული ვარ ერთი მაყურებელიც არ დარჩებოდა ბოლომდე, ან თუ დარჩებოდა მარტო იმისთვის, რომ სტვენით და შიშინით გამოესალმოს მოთამაშეებს.

საქმე ის არის, რომ ვიცით ქართველების გულ-კეთილობა, მისი მამულ მოყვარეობა, და ამის იმედით ვიჩენთ თავს, ცოტად თუ ბევრად. სის დამღუპველი გარემოებაც ამაზე უწინაც მითქვამს და ეხლაც მოგენებთ, რომ ყოველი საქმის წარმატება დამყარებული უნდა იყოს თვით ამ საქმის არსებით პირობათა მომართებაზედ და არა სხვა რომამე გარეშე გარემოებაზედ. ქველმოქმედება ვერაფერი თამასუქია საქმის წარმატებისათვის.

რა გითხრათ „კრიჟანგის“ წარმოდგენაზედ? მეტყვით ერთსა და იმავეს: აქტიორებმა როლები არ იცოდნენ; სცენაზედ მოძრაობდნენ რაღაცა თო[illegible], მაგრამ „თამაშობით“ კი არავის არა უთამაშნია რა, კოტე ყიფიანისა და ბაბუნიას ქალის გარდა. მაგრამ ამათ შეხვდათ პიესის არა უმთავრესი როლები, ამიტომ მათი თამაშობა შუქში დარჩა და მაყურებელს გამოჰყვა თეატრიდამ ის შთაბეჭდილება, რომელიც აწარმოვეს დანარჩენ აქტიორებმა. ამ დანარჩენთ შორის თავი და თავი იყო დებიუტანტი აბდუშელიშვილი, რომელიც თამაშობდა ჰარპაგონს (თვით კრიჟანგს). აბდუშელიშვილი პირველად გამოდის ტფილისის სცენაზედ, და სწორედ მოგახსენოთ ძალიანაც დააშავა, რომ ამ პირველის გამოსვლისათვის ჰარპაგონის როლი აირჩია. დააშავა მეთქი, თუმცა ამ საქმეში ამწონი და დამწონი თვითონ დებიუტანტი უნდა იყოს.

ახალი ამბები

გუშინ-წინ, ხუთშაბათს, 1 მაისს ნასადილევის მეოთხე საათზე საშინელი წვიმა და თან სეტყვაც იყო. ერთის საათის განმავლობაში სწვიმდა და ქალაქის ქუჩებში კარგა დიდი ნიაღვრები ადგა.

უეჭველია, აქ ნიაღვარს, საცა კი იყო წვიმა, ძალიან კარგი გავლენა ექნებოდა კალიის გაწყვეტაზე. სხვათა შორის, გვარწმუნებენ, რომ გუშინ და დღესაც, დილით, მტკვარს დიდძალი ხევებიდამ ჩამორეცხილი კალია მოჰქონდაო.

⁂

ტფილისისა და ავჭალის რკინის გზის სტანციებს შუა ორი ხიდის მახლობლად გუშინდელ ნიაღვარს მიწა წაულეკავს და ამის გამო ფოთი-ტფილისის რკინის გზის გამგეობა აცხადებს, რომ ტფილისსა და მცხეთას შუა გზა შეკრულიაო და სანამ არ გაკეთდება, მანამ მატარებლები მხოლოთ მცხეთასა და ფოთს შუა ივლიანო.

⁂

კავკასიის ფოჩტის გამგეობა აცხადებს, რომ რადგან გორის ხიდი 23 აპრილს წაიღო მტკვარმაო, ამის გამო ფოჩტა გორში ამ რიცხვიდამ ვეღარ დაიარებოდაო; ახლა კი მტკვარზე ნავ-ტიკებით გადიან და ამით გადააქვთ უბრალო წიგნები და ჟურნალ-გაზეთებიო; ხოლო ფულიანი წერილები კი ჯერ-ჯერობით ისევ გაუგზავნელი რჩებიანო, სანამ უფრო საიმედო საშუალება არ მოინახებაო.

⁂

დღევანდელს „კავკაზში“ დაბეჭდილია შემდეგი განცხადება ტფილისის პოლიციმეისტერისა:

„ტფილისის პოლიციმეისტერი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ყოველგვარი მუზიკის დაკვრა შეიძლება: ვერის ყველა ბაღებში ჯვარს იქით, მუშტაიდის იქით, მიხაილოვის ქუჩაზე და ორთაჭალაში; დუქნებში და პივისა და პორტერის ტრაქტირებში კი მუზიკის დაკვრა აღკრძალულია. ქორწილში და პიკნიკებში, საცა უნდა იყოს, მუზიკის დაკვრა არ არის აღკრძალული.“

მოგეხსენებათ, რომ ქალაქის რჩევამ ითხოვა ამ უაზრო და უსაფუძვლო აღკრძალვის მოშლა და იმედია, უმაღლესი მთავრობა შეიწყნარებს რჩევის თხოვნას...

⁂

კასპიდამ გვწერენ, რომ ამ ჟამად აქ იმყოფება კალიის გასაწყვეტად გორის მაზრის უფროსის თანაშემწე განსვეიჩიო და ენერგიულად მოქმედებსო.

⁂

ამბობენ, რომ ვაჭარი ტერ-ასატუროვიც გაკოტრებას აპირებსო; სულ, როგორც გავიგონეთ, რვა ათას თუმნამდინ ვალი ედებაო. ეს ტერ-ასატუროვი ამ ოთხი-ხუთი წლის წინათ გაჰყოფია როტინიანცს, თავის წილად შვიდი ათასი თუმანი მიუღია, და მას აქეთ ამ ფულის წაგებაც მოუსწრია და სხვა რვა ათასის თუმნის ვალისაც.

ამბობენ, აგრეთვე, რომ ბევრი ვაჭრები ამ იაფობის კვირის გათავებას მოელიანო, ცოტა მომეტებული ვაჭრობის იმედი აქვთ ამ კვირაშიო და შემდეგ კი ძალიან ბევრი აპირებს გაკოტრებასაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

კახეთი, 20 აპრილს. ნოტიო წელიწადი დაგვიდგა წელს. მუდამ ღრუბლით შემოსილი ცა, დრო-გამოშვებითი წვიმა და უფრო ხშირად ქინული, ჯანღით გარემოცული კახეთის არე-მარე და საგრძნობელი ცივი აღმოსავლეთის ნიავი,—აი რასა ვხედავთ ჩვენ, კახელნი.

ჯეჯილები კარგია; ტყე თითქმის გაიფოთლა, მეტადრე ალაზნის პირის ჭალა, მინდორი ისეთის ბალახით შეიმოსა, რომ უკეთესის ნატვრა საჭირო არ არის ჩვენთვის.

რაც საქონელი გადაურჩა წარსულს სუსხს ზამთარსა, ამ ჟამად გაფენილია ალაზნის ველზე.

ერთის სიტყვით, ქირნახულისათვის კარგი ამინდია, თუ ბოლოს არ გვიღალატა.

მაგრამ კახეთი ფრიად დააფიქრა კალიის გამოჩენამ შირაქში. შირაქის მინდორი მდებარეობს მდ. უფრო იორისა და ალაზნის შორის, ვიდრე მდინარეთა ერთად შეყრამდინ. რადგანაც ეს მინდორი ფრიად თბილი და მზურვალეა (ზოგან ნავთის ჭებიც არის), ცხვარი დაუდით აქ ზამთრობით. აქ გამოჩენილა კალია. ჯერ-ჯერობით სიღნაღის ადმინისტრაციას ფიცხელი და სწრაფი განკარგულება მოუხდენია. ყვარლის მილიცია (დრუჟინა), ლაგოდეხში მდგომი ჯარი და სიღნაღის მაზრის სოფლებიდამ გამოწვეული ხალხი წასულა შირაქში და შესდგომიან კიდეც საქმესა. მუშების ზედამხედველად სიღნაღის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. ლ. ჯანდიერია დანიშნული.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ენერგიულად მოჰკიდებენ ხელს ამ საქმესა და ყოველს ღონისძიებას იხმარებენ ამ საშინელის მტრის გასაწყვეტათ. თუ საჭიროება მოითხოვს, იმედია თელავის მაზრის ხალხიც მიეშველება და ეს ორი მაზრა, ჯარის შემწეობით, საკმაო იქმნეს კალიის გასაწყვეტად შირაქში, თუ გონიერი და ადგილის შესაფერი საშუალებანი იხმარეს.

კალიის გაწყვეტის თაობაზე ბევრი რამ ითქვა, როგორრათაც „დროებაში“, აგრეთვე დანაშთენ ტფილისის და სხვა გაზეთებშიაცა. მრავალი საშუალება იყო წარმომდგარი, და ურიგო არ იქნება ამით ისარგებლონ [illegible]ისათვის უკეთესი საშუალება—ნავთით დაწვაა კალიისა; შირაქში ნავთის ჭები ბლომად არის და არც ძვირად დაჯდება ამ საშუალების ხმარება. ორმოების გათხრას უფრო დიდი დრო და ბევრი შრომა მოუნდება, ვიდრე კალიის შეგროვებას და დაწვასა; წყალიც ძვირია შირაქში, აგრეთვე შეშაცა... გამარჯვება კალიაზედ დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორ გონიერად მოიქცევა, და როგორ საშუალებას იხმარებს და როგორ უხელმძღვანელებს მუშებს ზედამხედველი. ვისურვებთ, რომ თ. ლ. ჯანდიერმა კეთილ-სინიდისიანად და ენერგიულად მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი; ვისურვებთ აგრეთვე, რომ ის გამარჯვებული მობრუნებულიყოს შირაქიდამ...

მოგეხსენებათ, საცხენისის შკოლაში რევიზორები იყვნენ. თუმცა დარწმუნებით ჯერ არ ვიცით, თუ როგორ მოხდა რევიზია, ან რა შედეგი ექმნება ბბ. ილლიაშენკოს და სტრელეცკის რევიზიასა, მაგრამ მაინც საჭიროდ ვრაცხ საქმის ყოველ მხრით გარჩევისათვის და სიმართლის გამოაშკარებისათვის ვაცნობო საზოგადოებას ის ხმები, რომელნიც გავრცელდნენ კახეთში ხსენებულის საქმის შესახებ დამსწრეთაგან. მით უმეტეს საჭიროა ამ ხმების გამოცხადება, რომ იმათში სჩანან კიდევ რაღაც ოინბაზობანი ბ. ყ—შევისა.

ბ. ყ—ევს ცოტა-ოდენად განუკარგებია ყმაწვილების „შავ-ბედითი“ მდგომარეობა მის შემდეგ, როდესაც მზრუნველის ბატ. იანოვსკისაგან მოსულია პასუხის თხოვნა იმ წერილზედ, რომელიც დაბეჭდილი იყო „დროების მე-13 №-ში და თან თვით „დროების №-იც. პასუხი მისცა თუ არა,—ღმერთმა იცის, მაგრამ რევიზიის მოლოდინი რომ იქნებოდა ეს უეჭველია. და ნუ თუ ამოდენა დროს განმავლობაში ყ—ევი ვერ მოაწყობდა თავის შკოლას „სარევიზიოდ“?! მოსწავლეებს ჩაუცვამთ თვისი მუდმივი დაგლეჯილი ტანთ-საცმელი და თურმე ამ ყოფით უნდა გამოცხადებოდენ რევიზორებსა, მაგრამ მიუსწრია ყ—ევს, დაუჭყივლია, შეურეკნია ოთახებში და შეუმოსავს „სარევიზორო“ ტანთ-საცმელით. ერთს მოსწავლეს ვკითხე: ხომ არ უკითხავთ რაიმე თქვენთვის რევიზორებსამეთქი—„სმატრიტელი თვალებში გვიყურებდა და შიშით როგორ გავბედავდით რასმესო!“—მიპასუხა ყმაწვილმა... მაგრამ, როდესაც რევიზორები გზას დაადგნენ, ყმაწვილებმა შემოიკრიბეს თურმე ყოველი გამბედაობა, და დაიწყეს; შემოეხვივნენ ტარანტასს გარს და გამოისმა ხმები: „მშიერს გვხოცავდაო, სიცივით ვიხოცებოდითო!“ მაგრამ რევიზორების პასუხად მხოლოდ შემდეგი სიტყვები მოისმა: „გვიანღაა თქვენი საჩივარი; როცა დრო იყო, რატომ მაშინ არ იჩივლეთო?!“ და განა ყმაწვილს იმდენი გამბედაობა აქვსთ, რომ თავის ზედამხედველის წინაშე აღიარონ: ზე-

---

სხვა ქვეყანაში, სადაც ნამდვილი თეატრი არსებობს და ხეირიანადაც არის მოწყობილი, დებიუტანტი პირველ გამოსვლისათვის ირჩევს მისთანა პიესას და როლს, რომელსაც თვისივე აზრით ყველაზედ უკეთესად აასრულებს და რომელშიაც ფართოდ გადიშლება მისი ნიჭი. პირველს გამოსვლას კიდეც ამიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა აკტიორისათვის. თუ დებიუტანტი თავისავე არჩეულ როლში არ გამოდგა ხეირიანი, შენი მტერია წახდა მისი საქმე. შეიძლება აკტიორი შეკრთეს და ისე ვერ ითამაშოს როგორც ჰსურს და შეუძლიან, მაგრამ საზოგადოება იმდენად წინ წამდგარია (იქ, სხვაგან), რომ კარგად შეამჩნევს სად სიმკრთალეა და სად უცოდინარობა და უნიჭობა; ამიტომაც დებიუტს (პირველ გამოსვლას) ამით არ ეკარგება თვისი მნიშვნელობა.

ჩვენში კი, სადაც თეატრი მხოლოდ გუშინ არის ფეხ-ადგმული და ჯერეც არ დაჰკარგვია ქველ-მოქმედობის ხასიათი, ყველა ზემოხსენებულს ადგილი არ აქვს. ამიტომაც მოგახსენებთ აბდუშელიშვილმა დიდად დაშავა მეთქი, რომ ჰარპაგონის როლი აირჩია თავის დებიუტისათვის. ჰარპაგონი არის რთული ტიპი, თავიდამ ფეხებამდე შემკული ერთგვარის, განსაკუთრებულის ხასიათით. ამ გვარი ტიპის გამოხატვა ძნელია გამოუცდელის აკტიორისათვის, როგორიც არის უფ. აბდუშელიშვილი. ესა-და-ეს ტიპი გამოიხატება სცენაზედ არა არტო იმ ლაპარაკით, რომელიც უნიჭებია მისთვის ავტორს, არამედ ოველის მისის მოძრაობით, ყოვე- ის მიხრა-მოხრით, ყოველის მისის ვალის დახამხამებით. ჩემის აზრით ფ. აბდუშელიშვილი არამც თუ რპაგონს, არამედ სრულიად არა- ერს არა თამაშობდა. საუბედუროთ ც ლაპარაკი ისმოდა, ასე რომ ჰარ- გონი სრულიად დაიკარგა ჩვენ სცე- ზედ უფ. აბდუშელიშვილს მომე- ბულად მაყურებლისაკენ ჰქონდა ქცეული ზურგი და ამიტომ ყვირი- ს მეტი თითქმის არა ისმოდა-რა. დუშელიშვილი ისე დადიოდა სცე- ზედ თითქო ადგილს ვერ პოუ- ბსო. მართლა-და მთელი ხუთის მოქმედების განმავლობაში მარტო ორჯელ, თუ სამჯერ დაჯდა სკამზედ, თორემ სულ ფეხზედ იდგა ხელებ ჩამოშვებული. ყველა ეს რასაკვირველია მიეტევება უფ. აბდუშელიშვილს, რადგანაც ახალი და გამოუცდელი აკტიორია. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგ უფრო ადვილს როლს მოჰკიდებს ხელს მანამ არ გაიწრთვნება სცენისათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ შემდეგში როლსაც უფრო კარგად დაისწავლის. რა ითქმის აკტიორზედ, თუ კი როლი არ ეცოდინება.

ამხედველი სასტიკად გვექცეოდათ?! ითმა, რომელიც ბატ. უ—შევს ამ ლეებში თელავში გამოჰყვა, და როლმაც რევიზიის დამსწრედ აღიარა ავი,—მითხრა: „რევიზორებმა ყმაწლებს უპასუხესო, რომ თქვენის სავარის პასუხს ტფილისიდამ მიიღებო..." ნაცემს ყმაწვილსაც უჩივლია ევიზორებთანა და შკოლიდამ დათხვენა უთხოვნია. რევიზორებს უარი უთქვამთ—შენ საქმეს გავარჩევთო...

ყველა ამ ხმებს ვაცხადებ იმისთვის, რომ სიმართლე უფრო ცხადად გაირჩნდეს, რომ ვინც სიმართლე და ჭეშმარიტება იცის ამ საქმის შესახებ, —საზოგადოდ გამოაცხადოს. ეს საქმე ეეხება თვით საცხენისის შკოლის მასწავლებელთაც და, თუ იგინი სინიდისიანები და თავის საქმისადმი გულრფელი მსახურნი არიან,—გამოაცხადონ, თუ რა ხდება, ან რა ხდეოდა მათს შკოლაში და თუ არავითარი ბოროტ-მოქმედება არ იყო იქ, —რატომ პასუხს არ აძლევენ იმ წერილებს, რომელნიც აგრე სასტიკად ჰკიცხავდნენ საცხენისის შკოლის წესოებასა? ბაკიცხვა ბატ. უ—შევია არის გაკიცხვა თვით მასწავლეელთაცა, რადგანაც იგინი არ აცადებენ სიმართლესა... მაინც ვნახოდ ოლო რას გამოაჩენს...

რამდენიმე მოსწავლეთა მშობელაც უჩივლეს ბატ. უ—შევს მზრუნელთან, მაგრამ ჯერ არავითარი ასუხი არ არის. უოველს ჟამს მოელიან ესენი მათის საჩივარის გარჩევაა, რადგანაც კარგი და მაგარი საბუთები უჭირავს ხელში... ვნახოთ ამის შედეგიც...

მეგობრები და მომხრეებიცა ჰყავს ატ. უ—შევსაც: ესენი „ბულვარზედ" ღიარებენ: „დროების" წერილები ძაღლის ყეფად" ჩაჰსთვალეს რევიზიებმაო!.. დიახ, კარგი, პატიოსანი ატონები ბრძანდებიან ესენი. ამ ვარის ქცევით, რომელიც უფრო აქეზებასა ჰგავს, ჯერ ხომ თელავის ტყვევე ბატ. სიმონენკო დაღუპეს ა იქნება სხვაც იმსხვერპლონ!.. ვიდე ბ. სიმონენკო მეფობდა თელავში, ელავის „სიტყვით კაცნი" ეკურკუებოდნენ, გულითადი მეგობრად ჩვენებოდნენ; ეხლა კი, როდესაც . ს—კო გადმოვარდა ტახტიდამ, მეხედვასაც-კი არა ვინ კადრუობს.

თელაველმა მოქალაქეებმა გააჭირეს ოსმალეთის დამშეული სომეხთა ასარგებლოდ ფულის თხოვნით: ქალა, კაცსა, ერსა და მღვდელსა კრუშებით დაჰქონდათ და თითქმის ძალად ართმევდნენ გამვლელ-გამომვლელთ ფულსა! ერთ კვირაზე მეტი ულ ამ გვარს თადარიგში და ოფაში იყვნენ... ბევრს ორჯერამჯერ გამოართვეს... და 18 აპრილს ლავს მოიგონეს თვისი დამშეული ეზობლები, რომლებისათვისაც, დეუტატის მარქარაშვილის სიტყვით და აოსნობით, 50 კოდი პური უყიდიათ. ქეთილი საქმე და საქციელი, თუ ოლოც კეთილად წარმართე...

ღმერთმა ინებოს თელაველთა გამოღვიძება ღრმა ძილისაგან...

რადგანაც თელავის პოლიციამ ვერას გზით ვერ მოახერხა და ვერ შესძლო გალავნის პატარა კარების (აღმოსავლეთ-სამხრეთის კუთხეში) სუფთად შენახვა, გამოიგონა შემდეგი საშუალება: „ბატონის ციხის" (აგრე იწოდება თელავის ციხე-გალავანი, რადგანაც მეფის ირაკლი II-ის ძახის ბატონის აშენებულია) აღმოსავლეთს კედელში გამოიღეს კედელი ალაყაფის კარებად და აქედგან უნდა იაროს ხალხმა ხოლო საფათერაკო კარები კი ამოშენებული იქნება... თელაველი სომხები ფრიად ჰსწუხან ამაზედ „ვა, შარშან წინ კინაღამ ლეკებმა არ წაგვიყვანეს და ახლა კი ციხე დაგვინგრიეს! ძიდე რომ მოვიდნენ ლეკები, სად წავიდეთ.—ხომ სულ წაგვიყვანენ!..."

თელავის ადმინისტრაცია დიდს ღვაწლს დასდებს თელავსა, რომ ქალაქის ადგილები დაიცვას კერძო პირთაგან. ჯერ-ჯერობით კი მივაქცევ ადმინისტრაციის ყურადღებას იმ ადგილზე, რომელიც მდებარეობს გალავნის დასავლეთის მხარეს, რომლის სამხრეთი ნაწილი დაიჭირეს მოქალაქეებმა. სასურველია შევიტყოთ: რა საბუთის ძალით და ვისის ნება-რთვით ალაშენეს შარშან წინ შენობები ამ ადგილზე? ეს ადგილი ფრიად შემოსავლიანი იქმნება ისეთის ღარიბის შემოსავლიან ქალაქისათვის, როგორიც არის თელავი...

დროა თელაველებო, ვიზრუნოთ მკურნალისათვის. კაცი რომ კვდებოდეს, მკურნალს ვერა შოვნილობს! ავადმყოფი იძულებულია მიჰმართოს აფთექარს ჟულინს, რომელიც ვინ იცის რა წამლებს აძლევა!..... ხშირად ჟულინის წამლები მკურნალის შემოწმებით უვარგისი დგებიან!... და ამ გვარი ბოროტ მოქმედება შეწყნარებულია მხოლოდ თელავში.

კასელი წისწიბურა.

უცხოეთი

—

წვრილი ამბები. ფრანცუზულ გაზეთს „Temps"-ს სწერენ ვენიდამ, რომ ოსმალეთის მმართებლობის პასუხმა ალბანელების და ჩერნოგორელების შესახებ აქაც და საზოგადოდ ყველა სახელმწიფოებშიაც ცუდი შთაბეჭდილება მოახდინაო. საზოგადოდ აქ იმ აზრისანი არიანო, რომ ეს პასუხი ხონთქრის მმართებლობისაგან მხოლოდ საჩრიკებლად არის მოცემულიო. მოლოდებიანთ ყველა ელჩებისაგან ახალ საზოგადო წინადადების წარდგენას ხონთქრისადმიო. იგივე კორრესპონდენტი იწერება, რომ ალბანიის ლიგას (კავშირს) განზრახვა აქვსო სხვა და სხვა სახელმწიფოებში დესპანები გაგზავნონო სათხოვნელად, რომ იმათ შეცვალონ ბერლინის ტრაქტატის ის გადაწყვეტილებანი, რომელნიც არღვევენ ალბანიელების სამშობლოს შეუხებლობას.

ერთი ნემეცური გაზეთის სიტყვით ალბანიის კავშირის ჯარი ჯერ-ჯეროობით შემდეგ სიმრავლისაა: 16,000 მხედარი სემის ოლქში დგას, რომელიც შემდგარია კლიმენტის, სოტის, კასტრატის და ბრუდის ნათესაობათაგან; 2,000 მირიდიტები და 2,500 დუკაშინცები ტუზლაში იმყოფებიან. (ამ ჯარების სპასალარად არის ალი-ფაშა). მაშასადამე ალბანელთ სამშობლოს შეუძლია ბრძოლის ველზე გამოიყვანოს ოცი ათას ხუთასი მეომარი, რომელნიც უცხო ხალხთ გაზეთების სიტყვით სულის უკანასკნელ ლაფვამდე იბრძოლებენ სამშობლოის თავისუფლების, სახელის და დიდების დასაცველად.

—

„ტაიმსის" ფიქრით ბეშენი შეიძლება გაიგზავნოს განსაკუთრებულ ელჩად სტამბოლში ლეიარდის მაგიერად, რადგანაც ეს უკანასკნელი განსაზღრულ ვადით დროებით განთავისუფლებულია სამსახურიდამ.

—

ავსტრიის რეიხსტაღის სხდომის დროს, დეპუტატმა პოლფრუმმა, ვითარცა რწმუნებულმა ესრედ წოდებულის ჭეშმარიტ-კონსტიტუციონალურ დასისამ მმართებლობას კითხვა მისცა შესახებ ჩეხური ენის ნემეცურთან გათანასწორებისა ჩეხიაში. ამ კითხვაში ჭეშმარიტ-კონსტიტუციონალები შემდეგ ახსნას ითხოვენ მმართებლობისაგან: ა) კონსტიტუციის დადგენილობის რომელი მუხლის საფუძვლით მოახდინეს განკარგულება შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრებმა რომ ჩეხური ენა ნემეცური ენის უფლებით შემოიღონ ხმარებაში ჩეხიის სამოსამართლო, საგამგეო და საპოლიტიკო დაწესებულებებში? ბ) რა მოსაზრებებით დაინახა მმართებლობამ საჭიროდ, რომ ამ რიგი განკარგულება მოეხდინა? და ბ) აგრეთვე როგორ ჰფიქრობენ შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრები, რა ნაირად უნდა მოათავსონ მათ ეს განკარგულება სახელმწიფოის ქვა-კუთხედ კანონებთან?

—

ინგლისური გაზეთის „დელი ნეუსის" სიტყვით, გლადსტონის სამინისტრო ნოტათი მოიწვევს ევროპის სამინისტროებს, რომ მათ ერთად დადვან პირობად რომ ბერლინის ტრაქტატის ის მუხლები რომელნიც ჯერედ არ შესრულებულან, მათ მხედველობის ქვეშ იქმნებიან დაურღვევლად შესრულებულნი.

ნარევი

—

უიმედო მოტრფიალეთ საზოგადოება. ამერიკაში ტენესის შტატში, ნაშვილს შემდგარა საზოგადოება ახალგაზრდა და მოხუცი კაცებისაგან, რომელთაც უბედური სიყვარული გამოუცდიათ, ან უარი მიუღიათ თავიანთ დანიშნული ქალებისაგან. ვისაც ჰსურს ამ საზოგადოების წევრათ ყოფნა, დასამტკიცებელი საბუთები უნდა უჩვენოს ამ საზოგადოებას, რომ სწორეთ უბედური სიყვარული გამოუცდია ამას თავის სიცოცხლეში და პატიოსანი სიტყვი უნდა შეეკრას საზოგადოებას, რომ უკუნოთ უბედური მოტირალი დარჩება თავის ბედის-წერისა. თუ [illegible] გვარი განდევნილი საქმრო, [illegible] გაბედავს იმ ქალთან გაარშიყებას, შერთვის უარი რომ უთხრა, ის თავლაფ დასხმული, შერცხვენილი გამოირიცხება საზოგადოებიდამ. თუ ერთმა წევრთაგანმა ცოლი შეირთო, დანარჩენი წევრები ძაძებით შემოსილები უნდა იყვნენ და დიდი ხანი უნდა იგლოვონ თავიანთი მოღალატე ამხანაგი. ნაშვილსში კიდევ აპირებენ ერთს ამ გვარს საზოგადოების დაარსებას, მაგრამ ეს ქალების საზოგადოება იქნება. ნეტავ ჩვენეთიდამ არ მიიღებენ ქალიშვილებს წევრად ამ საზოგადოებაში?!

⁂

რამდენი მცხოვრებია დედამიწის ზურგზედ: სულ 1,421,000,000 (ე. ი. ერთი ბილლიონი, ოთხას ოცდა-ერთი მილლიონი). ამ რიცხვში 824,000,000 (რვაას ოც-და-ოთხი მილიონი) აზიაში სცხოვრობს. გამოანგარიშებით 35,693,350 (ოც-და-თხუთმეტი მილიონი, ექვსას ოთხმოც-და-ცამეტი ათასი, სამას ორმოც-და-ათი) ადამიანი იხოცება ყოველს წელიწადს ქვეყანაზე. მუდამ დღეს 97,790 (ოთხმოც-და-შვიდმეტი ათასი, შვიდას ოთხმოც-და-ათი) ადამიანი კვდება, იბადება მუდამ დღეს 104,804 (ას ოთხი ათასი, რვაას ოთხი) ადამიანი. ყოველს წამს ე. ი. ყოველს მინუტს 70 (სამოც-და-ათი) ადამიანი იბადება.

⁂

ამერიკული სატანცაო ბალი. ვაშინგტონში ჩვეულებრივ ახალ-წელიწადის 1880 წ. ღამეს, ქალაქის თავმა სატანცაო ბალი გამართა, შემდეგის ცვლილებებით: მასპინძელი კაცის მაგიერობას, მასპინძლის ცოლი ასრულებდა, და მასპინძლის ქალის მაგიერობას—მასპინძელი ქმარი ასრულებდა. გათხოვილი და გასათხოვარი ქალები თვითონ იწვევდნენ კაცებს სატანცაოთ და თუ ან ცხვირს სახოცი გაუვარდებოდა კაცს, ქალები მიაწოდებდნენ, ან წყალს მოითხოვდა კაცი, ქალი მიართმევდა. ქალებს თაიგულები გადმობრუნებული ეჭირათ ე. ი. ყვავილებით ძირს და ფესვებით ზევით და თავიანთ კავალერებს ისე მიართმევდნენ ხოლმე ვარდის კონებს. ტანცაობის თაოსნობა და მართვა ქალების ხელში იყო; კავალერებს თავთავის ადგილას მიიყვანდნენ ხოლმე ქალები, როცა ტანცაობას გაათავებდნენ. ქალებს დახურული ზედა წელი ეცვათ და მოკლე ტუნიკები, სერთუკების მსგავს დ. კაცებს გულახდილი ჟილეტკები ეცვათ, ძალიან გამოჭრილი პერანგის საყელოთი, ზედ ქისაითა და ტულით მორთული ვარდებით. ფრაკის სახელოს შეადგენდა თეთრი ქისაია ბუფებით და ყვავილებით მორთული. ხელში მარაო ეჭირათ. ერთის სიტყვით, ქალების სამაგიეროს კაცები ასრულებდნენ და ძალიან მხიარულად გაუტარებიათ ეს უცნაური საღამო.

განცხადებანი

ზინგერი ნიუ-იორკში

ყველაზედ უდიდესი საზოგადოება საკერავი მაშინებისა, მთელს ქვეყანაში ცნობილი მაგარის და მშვენიერად გამართულის მაშინებითა, რომელნიც გამოსადეგნი არიან როგორც შინაურს საკერავ მუშაობაში, აგრეთვე მასტერსკაეში. ეს მაშინები ყველა სხვა ფაბრიკანტების მაშინებსა სჯობიან ზინგერის საზოგადოებამ აპრილის თვიდამ როგორც სხვა ქალაქებში, ისე თფილისშიაც გახსნა საკერავი მაშინების მაღაზია (სკლადი) ატამანის ქუჩაზე, ერევნის მაედანის მახლობლად, ზუბალოვის სახლებში.

ვინც ამ მაშინის მოხმარება არ იცის, აქვე მუქთად ვასწავლით.

აქვე გაფუჭებული მაშინები მიიღება გასაკეთებლად.

საზოგადოების აგენტი სთხოვს კერძო პირთ და აგრეთვე იმ მაღაზიის პატრონებს, რომელნიც საკერავ მაშინებს ვაჭრობენ, ნუ შესცდებიან და ნუ იყიდიან სხვა ფაბრიკანტების მაშინებს, რომელთაც ზინგერის ფირმა მიითვისეს.

ქალაქის გარეშე მცხოვრებთ

პრეის-კურანტის (მაშინების სიის და ფასების) მისაღებად შეუძლიანთ თფილისში მოიწერონ წერილი, აგენტი მუქთად გაუგზავნის იმათ დაუყოვნებლივ პრეის-კურანტსაც და პასუხსაც იმ ენაზედ, რა ენაზედაც წიგნი იქნება მოწერილი.

აგენტის ადრესსი

Нейдлингеръ. Тифлисъ.

უმთავრესი აგენტი რუსეთისა და დასავლეთ ევროპისა.

(3—1)

5 მაისს, თფილისის საქალებო წმ. ნინოს ზავედენიის დაარსების დღეს, მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესი საქართველოს ეგზარხი გარდაიხდის ლიტურგიასა და პანაშვიდს მიცვალებულის უბრწყინვალესის კნიაგინის **ელისაბედ ქსავერის ასულის ვორონცოვისათვის.** წმ. ნინოს ქველმოქმედ საზოგადოების რჩევა აცნობებს ამას საზოგადოების წევრთა და წმ. ნინოს ზავედენიეში მოსამსახურე პირთა და სთხოვს მიცვალებულის სახსოვრის პატივის-ცემის მსურველთ მობრძანდნენ წმ. ნინოს ზავედენიის ეკკლესიაში.

ლიტურგია დილის 8 საათზე დაიწყება.

(2—2)

ტფილისის სავაჟო გიმნაზიის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამ გიმნაზიის პანსიონში გახსნილს ორს ვაკანციაზე, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთათვის განყოფილებაში, მოიწვევიან ეგზამენისათვის შემდეგი მორიგი კანდიდატები: 1) **ალექსანდრე გედევანოვი,** შვილი აზნაურ ნიკოლოზ გედევანოვისა, სოფელს კორდს, გორის მაზრაში მცხოვრებისა და 2) **მიხეილ ფალავანდოვი,** შვილი თავად დარისპან ფალავანდოვისა, გორისავე მაზრაში სოფელს წერონისში მცხოვრებისა.

თუ ეს პირნი სამის თვის განმავალობაში არ გამოცხადდნენ გიმნაზიაში ეგზამენიის დასაჭერად და ამასთანავე არც შესაწყნარებელი მიზეზები წარმოადგინეს ამ შემთხვევაში კანდიდატს ერთმევა უფლება სახელმწიფო ხარჯით პანსიონში მიღებისა.

(3—2)

დირექტორი ტფილისის სავაჟო გიმნაზიისა ამით აცხადებს, რომ მორიგ კანდიდატებში ჩარიცხულნი ამავე გიმნაზიის პანსიონში მისაღებად ტფილისის გუბერნიის აზნაურების შვილები: 1) **ილია უზნაძე,** შვილი პოდპოლკოვნიკის ქვრივის ეკატერინე უზნაძისა გორის მაზრის, სოფელს ცხინვალში მცხოვრებისა და 2) **ვასილ ზავაროვი,** შვილი სოფელს ინაგატში ლორის საპრისტავოში მცხოვრებისა მელიქ ედიგაროვ ზავაროვისა, თანახმად § 58 წესდებისა კავკასიის სამოსწავლებო ოლქის, კანდიდატები, სიის გარეთ დატოვებულ იქმნენ, და მათ მაგიერ შემდეგი კანდიდატები იქმნენ მოწვეულნი, პირველი იმიტომ, რომ ექზამენზე არ გამოცხადდა დადებულს 3 თვის განმავლობაში და მეორე—რადგანც იმისი საცხოვრებელი ადგილი ვერ მოიძებნა და ამასთანავე რადგანც თავისი საცხოვრებელი და სასწავლებელი ადგილი არ გვამცნო.

(3—2)

ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა გამოიწვევს მსურველთ ქალაქის ფარნების იჯარით განათებისას; სულ 1,400 ფარანი უნდა გინათოს კერასინით ამ ივლისის თვის 4-დამ სამის წლის ვადით ვიდრე 1883 წლის 4 ივლისამდინ. ვაჭრობა დაიწყება ამ იჯარისა იქნება მაისის 27-ს ქალაქის გამგეობის თანა-დასწრებით.

ვისაც ამ იჯარის აღებაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, დაწვრილებით პირობების (კანდიციების) ნახვა შეუძლიანთ გამგეობის უპრავის კანცელარიაში მუდამ დღე, უქმ დღე გარდა, დილის 10 საათიდამ ნაშვადღევის 2 საათამდინ.

ვაჭრობა, პირადათ შეიძლება და შეიძლება აგრეთვე, დაბეჭდილი კონვერტითაც გამოგზავნა პირობებისა.

(6—2)

ივანე მოსეს ძე

ბებუთოვი

რომელიც ქურქლეულით ვაჭრობს სომხის ბაზარში უმორჩილესად სთხოვს იმ პირს, რომელმაც საი წიგნი მოიწერა მისდამი ქალაქის ფოჩტით შეატყობინოს: სად უნდა გაუგზავნოს იმას პასუხი, რადგან წიგნები ხელ-მოუწერლად და უადრესოთ იყვნენ გამოგზავნილი.

ივ. მ. ბებუთოვი.

(2—2)

გამოვიდა და ისყიდება

უმანკო პატარძალი

კომედია ალალო თუთაევისა.

თფილისში—ვართანოვის, ზრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და იაგორ ზირალოვის ქურქლეულის მაღაზიაში. ბათუმში—სტ. დავიდოვთან; ფოთში—ნიკ. ჯიჯიხიასთან; სამეგრელოში—იორდანე სიხარულიძესთან; ქუთაისში—იოსებ მ. მურადოვის წიგნის მაღაზიაში; გორში—ზაქარია დონდაროვთან; თელავში—მასწ. ქრისტეფორე ზარაფოვთან; სიღნაღში—მელქო შლამოვის მაღაზიაში და ცხინვალში—სუდის პრისტ. იოსებ ციციანოვთან; ალექსანდროპოლს ალექსანდრე ტერ-აკოფოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე ავტორის კომედიები: „ცოლი ვიტირო თუ ფული?“ და „მული რძალი და მაშენიკები“

(10—7)

მთავარი კანტორა

სავაჭრო სახლის

იაგორ კასუმოვი და ამხ.

უცხადებს საზოგადოებას, რომ ვისაც ჰსურს იყიდოს პირველი და მეორე შინაგანი სესხის მოგებიანი ბილეთები, შეუძლიან მიმართოს ამ კანტორაში, სადაც ეს ბილეთები ისყიდება ძალიან კარგის პირობებით, მთელის წლის განმავალობაში ნაწილ-ნაწილად ფულის შემოტანით.

კანტორა თვითონაც ჰყიდულობს აგრეთვე ზემოხსენებულ შინაგან სესხის მოგებიან ბილეთებს.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა მსურველს შეუძლიან სავაჭრო სახლის კანტორაში, ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლებში.

(10—2)

გამოვიდა და ისყიდება

ლექსნი ომიანობის დროს

1854—1877

გამოცემული მ. ნაკაშიძისაგან.

ფასი ერთი შაური.

(3—3)

Дозволено цензурою. Тифлисъ 2 Мая 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი